გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 8
(11 567)

1 – 4 თებერვალი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პირველი ლიგის საგზური ექვსმა მოჭადრაკემ მოიპოვა

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს 2002 წლის პირველობის შესარჩევი ეტაპი, რომელშიც 79 მოჭადრაკე ასპარეზობდა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად ჩატარდა. დებულების თანახმად, I-V ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს პირველ ლიგაში თამაშის უფლება ეძლეოდათ. საგზურებისათვის ბრძოლა მართლაც რომ უშეღავათო გამოდგა. 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა გიორგი სულაშვილმა, რომელმაც ბოლო ტურში ალექსანდრა ვახანია დაამარცხა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩა ბათუმელი ზვიად ქამადაძე. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს და მესამე-მეექვსე ადგილები გაიყვეს თამარ წერეთელმა, ბაჩანა მორჩიაშვილმა, ივერი ჭიღლაძემ და მიხეილ ქანთარიამ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, გაითვალისწინა რა მოჭადრაკეთა ინტერესები, ზემოაღნიშნულ ყველა მოჭადრაკეს მისცა უფლება იასპარეზონ პირველ ლიგაში. ასე რომ, აღნიშნული ტურნირიდან 5-ის ნაცვლად პირველი ლიგის საგზური ექვსმა მოჭადრაკემ მოიპოვა.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატი მიმდინარე წლის 25 აპრილს დაიწყება.

თენგიზ ჩოგანიძე

## ფაქსები ფილადან

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას

2001 წლის 6 დეკემბერს ქ. პატრაში (საბერძნეთი) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მსურს გადმოგცეთ ჩემი მილოცვა წარმატებისათვის და თქვენი ფალავნების მიერ ჩემპიონატზე ჭიდაობის ექსტრაორდინარული კლასის წარმოჩენისათვის.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მილოცვა და საუკეთესო სურვილები ყველა მონაწილეს.

ულრმესი პატივისცემით და 2002 წლისთავის კიდევ უფრო უკეთესი მიღწევების იმედით

მილან ერცეგანი,
ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტი.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას

2001 წლის 22-25 ნოემბერს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული შედეგებისთვის მსურს მოგილოცოთ, გადმოგცეთ მადლობა და საუკეთესო სურვილები. თქვენი სპორტსმენების თავდადებამ ჩემი ყურადღება მიიქცია.

იმედია, მრავალი წარმატება კიდევ წინ გელით.

საუკეთესო სურვილებით

მილან ერცეგანი,
ფილა-ს პრეზიდენტი.
ლოზანა, შვეიცარია.



ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ლივინგსტონი – სელტიკი

5

*მილოცვა-ჩანახატი*

## იბრძვის სპორტული სულით და ჟინით...

*გუშინ 40 წლისა გახდა. დღემდე 14 თვე და ერთი კვირა ქართული სპორტის საჭეთმპყრობელობაა მისი ბიოგრაფიის ნაწილი. ამ კაცისთვის თანამდებობა პასუხისმგებლობაა უწინარესად. პასუხისმგებლობას კი, თუ არ გაურბიხარ, მუდამ ახლავს შინაგანი ტკივილი და გაუნელებელი წუხილი. მასაც სტკივა, წუხს და განიცდის. სპორტის მადლს ყმაწვილკაცობაში ნაზიარევი, სახელმწიფოს ჩინოვნიკთა დარად, გულგრილად ვერ შეხედავს პრობლემებს და უკეთეს მერმისს ვერ დაელოდება. დღევანდელობა კი მუდამ დაუნდობელია – მსხვერპლს ითხოვს შემოქმედისგან. ამიტომაცაა გამუდმებულ ჭიდილში ქართული სპორტის სათავეში მოსვლის პირველი დღიდანვე. ართულებს სახელმწიფო მოხელეთა პოზიცია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ ხალხს ფიზაღზრდის გაკვეთილზეც არ უვლია, თითქოს სპორტი საერთოდ ამოვარდა მათი ბავშვობის წლებიდან, თითქოს ერთხელაც არ შეტოკებიათ ნერვი ქართველ სპორტსმენთა წარმატებებით.*



*ვინც ახლოს იცნობს ირაკლი მეძმარიაშვილს, დაგვეთანხმება, რომ იგი ქართული სპორტის ბედით ცხოვრობს, მასზე ფიქრში აღამ-ათენებს. და უკვირთ, კიდევ როგორ ახერხებს ამდენს, და უხარიათ, კვლავაც თავდადებული და ენერგიული მემკვიდრე რომ მოევლინა ქართულ სპორტს ძნელბედობის ჟამს. პრობლემებში, რაც უფრო ღრმად იხედება, უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება. მაგრამ მებრძოლი ადამიანისთვის ხომ სწორედ წინააღმდეგობაა დასაყრდენი, ჰაერში ფეხს ვერავინ მოიკიდებს. ამ კაცისთვის უცხოა თანამდებობით ტკბობა. კაბინეტს მიღმა უფრო ხშირად ხედავენ. სადაც სპორტული ღონისძიებები ტარდება, იქ არის მისი ადგილი, ან ინსტანციებში „ღია კარის მტვრევაშია“. რაკი მოვალეობის ღრმა შეგნებით იღვწის, ბრძოლით და არა დინებით მიჰყვება ცხოვრებას, ანუ დროს არ მიაცილებს.*

*დღესაც შეუძლია თვალი თამამად გადაავლოს ხანმოკლე პერიოდში მიღწეულს და თქვას, რომ უკვე დატოვა კვალი, რომელიც წინ მიდის.*

*დიახ, ირაკლი მეძმარიაშვილისთვის თანამდებობა პასუხისმგებლობაა. ის იბრძვის სპორტული ჟინით წაქეზებული. იბრძვის, რადგან წარმატება უბრძოლველად არ მოდის!*

*თენგიზ გაჩეჩილაძე*



ქვეყნები, თასები...

ჰერტა – კიოლნი

5

ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი

## ქართველ გოგონათა წყვილი უძლიერესი იყო

ქართველმა ჩოგბურთელმა ახალი სპორტული სეზონი ლიტვის ქალაქ შაიულიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობით დაიწყეს. ტურნირში იასპარეზეს აღმოსავლეთ ევროპის 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა. საქართველოდან გამოდიოდა ორი გოგონა და ამდენივე ჭაბუკი თბილისიდან. ფაქტობრივად ჩატარდა ორი ტურნირი, სადაც ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ გაერთიანებული მაჩვენებლებით, წყვილებში კი ცალ-ცალკე.

ჩვენი გოგონებიდან 14 წლის თათია მიქაძე (შარშან იგი 13 წლის ასაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა ქალებში) IX ადგილზე გავიდა, ია ჯიქია XII იყო. ამ გოგონებმა, სამაგიეროდ, პირველობა არავის დაუთმეს წყვილთა თანრიგში მეორე ტურნირში, პირველ ტურნირში კი მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ. ქართველმა ჭაბუკებმა გიორგი ხრიკაძემ და სანდრო ლომინეიშვილმა პირველ ტურნირში წყვილთა თანრიგში ნახევარფინალში გააღწიეს და III-IV ადგილები გაიყვეს. მეორე ტურნირის დამთავრება კი ველარ შეძლეს, რადგან ლომინეიშვილმა ტრავმა მიიღო.

ჩვენს ჩოგბურთელებს ტურნირზე ახლდა მწვრთნელი ეკა თოხაძე. „ახლა აპრილამდე შინ მოვემზადებით, შემდეგ კი, თუ დაფინანსება მოხერხდება, თურქეთის საერთაშორისო ტურნირში გამოვალთ“ – გვითხრა მწვრთნელმა.






„ოქროს თასი“

აშშ – კანადა



2

ნოდარ გვახარიას გახსენება



NBA

იუტა – ჩიკაგო

6

## წოდების მინიჭება

საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარების, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიანიჭა:

**ყარამან საბანაშვილს** – საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მძლეოსნობაში,
**ნარიმან ჟორბენაძეს** – ხულოს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს,
**ივანე კუსიდის** – აჭარის ა/რ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსს,
**ბენო ფირცხელაიშვილს** – საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ხელბურთში,
**გიული კახიძეს** – ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის კათედრის გამგეს.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 6 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 7 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

**ქალბატონ ნინო სალუქვაძეს**

ქალბატონო ნინო,

გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს!

გისურვებთ დიდხან სიცოცხლეს, დიდ ბედნიერებას, მრავალ წარმატებას თქვენს ოჯახთან ერთად აღორძინებულ საქართველოში.

გვჯერა, რომ თქვენი შემართების შედეგად კვლავაც ბევრჯერ გიხილავთ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, კვლავაც გაახარებთ გულშემატკივრებს.

დიდი პატივისცემით.

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე**

## მილოცვა

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და ვერცხლის პრიზიორს ტყვიის სროლაში ნინო სალუქვაძეს.**

# სოლტ-ლეიკ-სიტის კალეიდოსკოპი

● **ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რჩება ერთი კვირა. სოლტ-ლეიკ-სიტში, ოლიმპიურ სოფელში უკვე ჩად ან სპორტული დელეგაციები. მათ რიცხვს ჩვენი ოლიმპიელები 4 თებერვალს შეუერთდებიან. ბევრისთვის ეს ოლიმპიადა ბოლო იქნება, ბევრისთვის – პირველი. მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები თავიანთი კარიერის ამ თამაშებით დამთავრების თაობაზე ხმამაღლა აცხადებენ, შედარებით მოკრძალებული არიან დებიუტანტები. ეს გასაგებიცაა.**

● **ოლიმპიურ** სოფელში გუშინ დააკავეს წესრიგის პირველი დამრღვევი, რაც უსაფრთხოების მუშაკთა ნათლობა იყო. დამრღვევი აღმოჩნდა სოლტ-ლეიკ-სიტის მცხოვრები 48 წლის შედორ გუდმენი, რომელმაც შინისკენ მიმავალი გზის შემოკლების მიზნით, ოლიმპიური სოფლის ტერიტორია გადაკვეთა. იგი, ცხადია, უმალვე დააკავეს და სახელმწიფოს მიერ დაცული ტერიტორიის უნებართვოდ დარღვევის ბრალდება წაუყენეს.

● **აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ინსპექციის დასკვნით, ტერორისტებს არანაირი შანსი არ ექნებათ ჩაშალონ ოლიმპიური თამაშები. მაგრამ მაღაზიებში, რესტორნებში და, უბრალოდ, ქუჩებში, მეტნაკლები საფრთხე მაინც რჩება. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდება დღეღამური პატრულირება სოლტ-ლეიკ-სიტის ობიექტებზე და ქუჩებში.**

● **სოკ-ის** პრეზიდენტი ჟაკ როგი უკვე ჩავიდა სოლტ-ლეიკ-სიტში. პირდაპირ აეროპორტში მას გადასცეს საზამთრო კურტაკი თამაშების ემბლემით. ნიშანდობლივია, რომ ისეთივე საჩუქარი მიიღო როგის თანმხლებმა, სოკ-ის წევრმა მარკ ხოლდერმა, რომელმაც პირველმა ამხილა სოკ-ის წევრები კორუფციასა და ქრთამის აღებაში ამერიკის ამ ქალაქის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად არჩევასთან დაკავშირებით.

როგი ოლიმპიადის დღეებში ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებს და არა სასტუმროში. ჯერჯერობით კი იგი სასტუმრო „ლიტლ-ამერიკაში" განთავსდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარტამენტში.

● **ალტაის საკვები პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობის ასოციაციამ ჯილდო დააწესა იმ ოლიმპიელებისთვის, რომლებიც რუსეთის ამ მხრიდან მედალს მოიპოვებენ. თამაშებში გამარჯვებულს ბარნაულში დაელოდება ვაზ-2110 ახალი ავტომობილი.**

● **უცნაური** გადაწყვეტილება მიიღო იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა. თამაშების გახსნის აღლუმზე სპორტსმენთა გვერდით გამოვლენ ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურის ანტიტერორისტული ჯგუფის ყველაზე გამოცდილი მუშაკები, რათა თავიანთი სპორტსმენები დაიცვან ყოველგვარი მოულოდნელობისგან.

● **ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი, ცნობილი სამთომოთხილამურე, ავსტრიელი ჰერმან მაიერი, შარშან აგვისტოში ავტოავარიაში მოჰყვა და ვერ გამომჯობინდა. ვერც ნორვეგიელი ჟან-ლიუკ კრეტიე, რომელმაც განუწყვეტელი ტრავმების გამო დაასრულა კარიერა.**

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**საქართველოს 2002 წლის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თბილისი. 26–27 იანვარი.**

***55 კგ:*** 1. ირაკლი ჭოჭუა, 2. პაატა ბიწაძე (ორივე — თბ), 3. ზურაბ ზავრაშვილი (რუსთ); ***60 კგ:*** 1. ლაშა ლომიძე, 2. ალექსანდრე ბოლქვაძე (ორივე — ოზურგ), 3. გიორგი ბერიძე (აფხ); ***66 კგ:*** 1. შმაგი გოქაძე (ქუთ), 2. მანუჩარ კვირკველია (თბ), 3. დავით შავაძე (ბათ); ***74 კგ:*** 1. დიმიტრი დოხტურიშვილი, 2. ტარიელ მელელაშვილი, 3. ბადრი ხასაია (სამივე — თბ); ***84 კგ:*** 1. ხვიჩა ბიჩინაშვილი (გარდ), 2. პეტრე მეტრეველი, 3. ზვიად ქარდავა (სამივე — თბ); ***96 კგ:*** 1. გენადი ჩხაიძე (ბათ), 2. რამაზ ნოზაძე (თბ), 3. რამაზ დევაძე (ბათ); 120 კგ: 1. მირიან გიორგაძე (თბ), 2. ლაშა გვადიბაძე (ქუთ), 3. გიორგი მუმლაძე (თბ).






# გიორგი კანდელაკი – საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე ამ ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ცნობილი მოკრივე და საქართველოში კრივის განვითარების გამოჩენილი ორგანიზატორი **გიორგი კანდელაკი.**

ამ თანამდებობაზე ახალ პრეზიდენტს არჩევნების დროს კონკურენტი არ ჰყოლია.

**მძლეოსნობა** **თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატი**

# მძლეოსნებმა სეზონი გახსნეს...

ყველა, ვინც ამ შეჯიბრებას ესწრებოდა, „ლელოს" კორესპონდენტს ცალცალკე სთხოვდა, მასალის გამოქვეყნებისთვის აუცილებლად აღნიშნულიყო თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის დავით ქელიძის დიდი დამსახურება ამ შეჯიბრების ჩატარებაში. ასე, სპორტის მუშაკები და სპორტსმენები ყველას და ყოველთვის მიაგებენ ღირსეულ პატივს, ვინც სპორტსმენებს შესაძლებლობას აძლევს




იასპარეზონ ესოდენ მონატრებულ შეჯიბრებებში.

თბილისში, დ. იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის სასახლეში ჩატარებულ 2002 წლის ზამთრის ამ ჩემპიონატში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებმაც მოსინჯეს ძალები და ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ვაჟები. 60 მ:*** შ. მამუდოვი (ბათ.) — 6.6, ი. მაქაცარია (ზუგ) — 6.8. კ. ვაჩეიშვილი (ბათ) — 6.9; ***200 მ:*** ბ. ბადრიძე (თბ) — 22,6, გ. ჩხაპელია (სოხ) — 23,1, ზ. წერეთელი (თბ) — 23,7; ***400 მ:*** ნ. მიშველიანი (ბათ) — 52,7, წერეთელი — 53,3, ა. მეტრეველი (ორივე — თბ) — 54,7; ***800 მ:*** მეტრეველი — 2.02,1, ა. პოზივაილო (ორივე — თბ) — 2.03,9, დ. ბილაშვილი (საგარ) — 2.06,5, ***1500 მ:*** მეტრეველი — 4.18,6, დ. გილაშვილი (საგარ) — 4.23,4, ი. ძაბინი (ახალც) — 4.25,7; ***3000 მ:*** ზ. ზილბერშტეინი (ახალც) — 9.00,0, ჰ. მამიკონიანი (თბ) — 9,14.0, ი. ჯააძე (ახმ) — 9.26,7. ***5000 მ:*** ზილბერშტეინი — 15.26,0, მამიკონიანი — 15.45.5, ა. სარქისიანი (თბ) — 17.20,4; ***60 მ. თარჯი:*** 1. დ. ილარიანი (გარდ) — 8,0, გ. გურგენიძე (გორი) — 9,6; ***5 კმ. სპორტული სიარული:*** ე. ურუშაძე (თბ) — 28.32,0; ***4X200. ამანათრბენი:*** გ. ჩხაპელია, გ. გოგიაშვილი, წერეთელი, ილარიანი (თბ) — 1.47,1; ***ბირთვი:*** მ. გიგაია (მარტვ) — 15.25, მ. ტულუში, ბ. აბრამიანი (ორივე — თბ); ***სამხტომი:*** ბ. დანელია (მარტვ), მ. ფანცულაია (ფოთი); ***სიგრძე:*** ილარიანი — 7.09, გ. ამირანაშვილი (თბ) — 6,15, მ. ფანცულაია (ფოთი) — 5.96; ***ბადრო:*** გიგაია — 47,44, რ. ჭინჭარაული (დუშ) — 45,96, ტულუში — 41,14.

***ქალები: 60 მ:*** მ. ინაშვილი — 8,0, ი. დუბინა — 8,1, ნ. ჯანელიძე (სამივე — თბ) — 8,3; 200 მ: ა. ტაროსიანი — 25,4, ინაშვილი — 26,5, თ. ესებუა (სამივე — თბ) — 26,6; ***400 მ:*** ესებუა — 1.00,2 ე. ტყემალაძე — 1.02, 1, ლ თანდილაშვილი (სამივე — თბ) — 1.08,1; ***800 მ:*** თ. გუთანაიძე (ახმ) — 2.43,4, ლ. დვალიშვილი (თბ) — 2.43,5, ე. ჯანრულაძე (ახმ) — 2.44,5; ***1500 მ:*** ს. ლაბაძე (ახალც) — 5.10,6, ლ. დვალიშვილი (თბ) — 5. 42,2, ნ. გილაშვილი (ბორჯ) — 6.11,3; ***3000მ:*** ლაბაძე — 10.58,7, ნ. თათრაულიძე — 11.00,0, მ. გუვანაძე (ორივე — ახმ) — 11.30,1; ***4X200 მ:*** ინაშვილი, ტყემალაძე, ესებუა, დუბინა (თბ — 1) — 1.51,7; ***ბირთვი:*** მ. ქევხიშვილი (გარდ) — 12.56, ნ. ელიზბარაშვილი (თბ) — 11.63, თ. ღვთისიაშვილი (მცხ) — 9.64, ***სიგრძე:*** ი. ხორომშევა — 5.21, ნ. ჯანელიძე (ორივე — თბ) — 5.11, ქ. რურუა (მარტვ) — 4.51; ***სამხტომი:*** ხორომშევა — 11.42, რურუა — 10.51; ***ბადრო:*** ელიზბარაშვილი — 30.82, ქევხიშვილი — 26.70.

**ბაგრატ მეძვაბიშვილი**

# მშვილდოსნობაში ორი ახალი რეკორდი დაფიქსირდა

ანგისის სპორტული კომპლექსის დარბაზში გამართული აჭარის 2001 წლის ზამთრის ღია ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, დემოკრატიული აღორძინების კავშირის პრიზზე, ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო 2002 წლის ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის წინ. ეს შეჯიბრება ანკარაში 13-17 მარტს ჩატარდება.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ქვეყნის ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ფუტკარაძემ ჩვენთან საუბარში თქვა: „ზამთრის ღია ჩემპიონატი დახურული დარბაზებისათვის მაღალ დონეზე ჩატარდა. დამყარდა საქართველოს ორი ახალი რეკორდი. 25 მეტრზე (60 გასროლა) ბათუმის აგრარული უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტმა, სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ხათუნა ფუტკარაძემ 567 ქულა მოაგროვა. ეს მაჩვენებელი ერთი ქულით აღემატება 1989 წელს ნატო ნასარიძის მიერ დამყარებულ რეკორდს. ბოლო აჭარის ქალთა ნაკრების სამეულმა (18 მეტრზე 60 გასროლა) ხათუნა ფუტკარაძემ, ასმათ დიასამიძემ, ოლღა ლადიგინამ 1678 ქულით ჩვენი ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა.

***ქალთა შორის 25 მეტრზე სროლაში (60 გასროლა) ასე განაწილდა:*** 1. ხათუნა ფუტკარაძე – 567 ქ, ასმათ დიასამიძე – 563, ოლღა ლადიგინა – 549 (ორივე ხელვაჩაური). ***ვაჟები:*** 1. სერგეი ვორონოვი (ხელვაჩაური) – 536 ქ. 2. დათო შამილიშვილი (ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტი) – 536, 3. დიმიტრი კირიჩენკო (ბათუმის VII რუსული საშუალო სკოლა) – 534.

ყველაზე მოკლე დისტანციაზე (18 მეტრზე, 60 გასროლა) ქალთაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონობა არავის დაუთმო ხათუნა ფუტკარაძემ – 571, მეორე ადგილზეა – ასმათ დიასამიძე – 556, მესამეზე – ოლღა ლადიგინა – 551. ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა დათო შამილიშვილი – 537, მეორე იყო – სერგეი ვორონოვი – 524, მესამე – დიმიტრი კირიჩენკო – 519.

გამარჯვებული მშვილდოსნები დაჯილდოვდნენ დემოკრატიული აღორძინების კავშირისა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით.

**ოთარ მურვანიძე,**
**გაზეთ „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში**

# ნოდარ გვახარიას გახსენება



ქართულ სპორტში, საბედნიეროდ, არაერთ სპორტსმენს დაუტოვებია წარუშლელი კვალი. ასეთთა მძლე მხრებზე ამოიმართა ტრადიციები თაობათა ორიენტირად რომ იქცა. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ქართულ წყალბურთს ჰერკულესის სვეტებად შეუდგა და შორს გაუთქვა სახელი, არის ნოდარ გვახარია, კაცი, რომლის ავტორიტეტი სპორტსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის პიროვნული ღირსებების მაგალითად იქცა.

ნოდარ გვახარიას თაობა წყალბურთის ჭეშმარიტ შემოქმედად მოევლინა ლუკა იოაკიმიდის ფუძეჩაყრილ ტრადიციებს. 1938 წელს შექმნილ თბილისის „დინამოში" შემდგომში თაობები დაოსტატდნენ. პიონერები კი, ვინც ქართული წყალბურთის სკოლას ჩაუყარეს საფუძველი, ოსტატობა უმაღლეს დონემდე აიყვანეს და მსოფლიო კლასს გაუთანაბრა, უპირველესად იყვნენ პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია, პეტრე ბრეუსი, გიორგი ხარებოვი... ზოგიერთ თანაგუნდელთა მიბაძვით, ნოდარ გვახარიას საქართველო არასდროს დაუტოვებია, სხვისი გუნდი არ გაუძლიერებია, და აქედან გამომდინარე თანამემამულეთა წინააღმდეგ თამაშში თავის გამოჩენა არასდროს უცდია, თუმცა სხვა გუნდში მიწვევა-შეთავაზება არაერთგზის ჰქონია.

ნოდარ გვახარიას, როგორც გამორჩეული ხელწერის წყალბურთელს, ღირსეულ პატივს მიაგებდნენ საბჭოთა კავშირის იმდროინდელი გამოჩენილი სპეციალისტები. 1953 წელს პირველად მიიწვიეს საბჭოთა ნაკრებში და შემდეგ მთელი შვიდი წელიწადი იცავდა უდიდესი ქვეყნის უპირველესი გუნდის სპორტულ ღირსებას. XVI ოლიმპიურ თამაშებში ამ გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ნოდარ გვახარია გახდა პირველი წყალბურთელი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოუტანა საქართველოს სპორტის ამ სახეობაში. ორი წლის შემდეგ, 1958 წელს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. მანამდე კი, 1953 წელს, მსოფლიო ახალგაზრდობის მეგობრული სპორტული თამაშების ოქროს მედალი იყო პირველი მაღალი ჯილდო მის სპორტულ ბიოგრაფიაში. მშობლიურ თბილისის „დინამოში" ნოდარ გვახარია ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი — 1956 და 1960 წელს, ხალხთა სპარტაკიადაზე — ბრინჯაოს მედალი ხვდა. ნოდარ გვახარია არასდროს ჩამოშორებია ქართულ სპორტს. დიდხანს იმუშავა სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში, როგორც ამ უწყების ფაქტიურმა ხელმძღვანელმა. სიცოცხლის ბოლო წლებში კი საქართველოს პარლამენტში მუშაობდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში, სადაც სპორტიც შედიოდა.

შესანიშნავ ორგანიზატორს ბევრი კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა ქართული სპორტის სასიკეთოდ, მაგრამ აღარ დასცალდა.

3 თებერვალი ნოდარ გვახარიას დაბადების დღეა!

**თ. თომაშვილი**




# სამზადისი გრძელდება

ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე კლუბების უმრავლესობა სეზონისთვის მზადების მეორე და უმთავრეს ეტაპს იწყებს. **ქუთაისის „ტორპედომ“** მოილია მოსკოვური „ჩუსტების“ ფეხბურთი და ახლა კიდევ ერთი შეჯიბრებისთვის, თურქმენეთის პრეზიდენტის თასისთვის მზადებას შეუდგება. გუნდი თებერვლის პირველ რიცხვებში შუა აზიის ტრამალებს გაუყვება. ტურნირი 10 თებერვალს დაიწყება. „ტორპედო“ იქ 20 თებერვლამდე დარჩება.

**თბილისის „ვიტ ჯორჯია“** ბაკურიანიდან დაბრუნდა და ანთალიაში გაემგზავრა. კლუბს საბოლოოდ დაუბრუნდნენ ნახევარმცველი დავით დილმელაშვილი და თავდამსხმელი ლევან მელქაძე. თურქეთში წასულ ვიტელთა სრული შემადგენლობა ასეთია: *მეკარეები* – მერლანი, ჭურაძე, მამარდაშვილი; *მცველები* – არეშიძე, ზაზაშვილი, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, კვახაძე, ინწკირველი, დ. ლომაია, გველესიანი; *ნახევარმცველები* – ფეიქრიშვილი, ადამია, ნოზაძე, დ. დოლიძე, სანიკიძე, ზ. მეტრეველი, დილმელაშვილი, თედორაძე; *თავდამსხმელები* – ცქიფურიშვილი, გოჩაშვილი, მელქაძე, გოცირიძე, თუთარაშვილი, წუწუნავა, იაშვილი. „ვიტ-ჯორჯია“ თბილისში 21 თებერვალს დაბრუნდება.

ბაკურიანიდან ბათუმში დაბრუნდა ზღვისპირული **„დინამო“**. ასლან ბალაძის შეგირდები ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ და შემდეგ ბულგარეთში წავლენ. 20-დღიანი შეკრებისას „დინამო“ ექვსი ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებს.

ვალტერ გუჩუათი გაძლიერებული **ფოთის „კოლხეთიც“** ბულგარეთისკენ გაეშურება. მანამდე კოლხებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართეს თსუ-სთან. გუნდი ბალკანეთში დღეს გაემგზავრება. ფოთელთა ბულგარეთული შეკრება ოცი დღე გაგრძელდება.

კვიპროსული შეკრება დაასრულა **თბილისის „დინამომ“**. ამიერიდან გივი ნოდია მწვრთნელის პოსტს ხორვატ ივო შუშაკს გადააბარებს. ახალი მწვრთნელი გუნდის დამოძღვრას იტალიიდან შეუდგება. კუნძულზე ბოლო საკონტროლო მატჩში „დინამომ“ რუსული იჟევსკის „გაზპრომს“ 3-1 მოუგო. გოლები გაიტანეს დარასელიამ, ვაშაკიძემ და ამისულაშვილმა.

თბილისში იქნება **ბოლნისის „სიონი“**. გუნდის მზადებას 3 თებერვლიდან გააგრძელებს და რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს. ბოლნისელთა მეტოქეები, დინამო-2, დინამო-3 და რუსთავის „გორდა“ იქნება.

შვიდ ამხანაგურ, საწვრთნელ მატჩს ჩაატარებს კვიპროსზე კახა ცხადაძის **თბილისის „ლოკომოტივი“**. გუნდი მოისაკლისებს მცველს მამუკა წერეთელს და ნახევარმცველ გიორგი ანჩაბაძეს. ერთის კლუბის განაცხადში შეყვანა ვერ მოხერხდა, მეორე კი უკვე თბილისის „დინამოს“ წევრია და გუნდს იტალიაში შეუერთდება. კუნძულზე რკინიგზელები საკონტროლო შეხვედრებს 1 თებერვლიდან 19 თებერვლამდე გამართავენ, სავარაუდოდ მათი მეტოქეები იქნებიან – მოსკოვის „დინამო“, „ალანია“, სლოვაკეთის „სელენა“, იუგოსლავიის „ზეტა“, ბრატისლავის „სლოვანი“, რუსეთის „მეტალურგი“ და რუმინეთის „რაპიდი“. საკვიპროსედ გამზადებული 21 ფეხბურთელია – *მეკარეები:* გ. ლომაია, ივარდავა; *მცველები:* ბალაშვილი, სალუქვაძე, ლაცაბიძე, მორჩილაძე, მანჩხავა, ორბელაძე, დავითნიძე, ონიანი; *ნახევარმცველები:* გელა ქორიძე, ჭიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი, დათვაძე, სირაძე, სირბილაძე, ვლასოვი; *თავდამსხმელები:* კაიდარაშვილი, ქარდავა, მერაბ ძოძუაშვილი, დავითაშვილი.

# მსაჯები ბურთსაც გაამორჩევენ

უკვე ტრადიციულ მსაჯთა ხსოვნის ტურნირს სტარტი ორშაბათს მიეცემა. ტურნირში, რომლის თაოსანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა, ასევე ტრადიციულად რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ეროვნული ჩემპიონატისა და რეგიონული პირველობების მომსახურე მსაჯებს, მინიფეხბურთში მეტოქეობას გაუწევენ ჟურნალისტები და სფფ-ს თანამშრომლებით დაკომპლექტებული გუნდი. ორ ქვეჯგუფში განაწილებული რვა კოლექტივი საწყის ეტაპზე ორ-ორ საუკეთესოს გამოავლენს, რომლებიც ფინალში გასვლისთვის ნახევარფინალურ მატჩებს გამართავენ. ფინალური შეხვედრა და მატჩი მესამე ადგილისთვის პარასკევს გაიმართება. მსაჯთა ხსოვნის ტურნირი არბიტრებისთვის სეზონისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. ასე რომ, კროსებს და ფიზიკურ ვარჯიშებს, ერთი კვირით ბურთაობა შეცვლის. გათვალისწინებულია სახელობითი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები მათთვის, ვინც თავს გამოიჩენს ტურნირის მსვლელობისას.

**მსაჯთა ხსოვნის III ტურნირი, 4-8 თებერვალი 2002 წ.**

## კალენდარი

***4 თებერვალი***
11 სთ. თბილისი-II – აფხაზეთი
12 სთ. მასმედია – სფფ
13 სთ. იმერეთი – სამეგრელო
14 სთ. თბილისი-I – ქართლი

***5 თებერვალი***
11 სთ. ქართლი – იმერეთი
12 სთ. სამეგრელო – თბილისი-I
13 სთ. აფხაზეთი – მასმედია
14 სთ. სფფ – თბილისი-II

***6 თებერვალი***
იმერეთი – თბილისი-I
ქართლი – სამეგრელო
მასმედია – თბილისი-II
აფხაზეთი – სფფ

***7 თებერვალი***
**ნახევარფინალები**
11 სთ აI – ბII
12 სთ. ბI – აII

***8 თებერვალი***
12 სთ. მატჩი
III ადგილისთვის
13 სთ. ფინალი.

**ა ჯგუფი**
თბილისი-II
აფხაზეთი
მასმედია
სფფ

**ბ ჯგუფი**
იმერეთი
სამეგრელო
თბილისი-I
ქართლი

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### «კიევოს» ფეხბურთელი არენდით...

სეზონის ბოლომდე „კიევოს“ ნახევარმცველი ფაბიო ფირმანი იტალიის სერია „A“-ს მეორე კლუბ „ბოლონიას“ გადაეცა არენდით.

### ნიკულესკუ «გალათასარაიში» არ იქნება

თურქეთის ამ კლუბმა უარი განაცხადა ინათხოვროს რუმინელი თავდამსხმელი რადუ ნიკულესკუ. საქმე იმაშია, რომ ამ ფორვარდმა ერთხელ უკვე შეიცვალა კლუბი მიმდინარე სეზონში, მეორედ კი ფიფას ახალი წესებით უფლება აღარ აქვს.

27 წლის ფეხბურთელი თურქეთში ჩავიდა, მაგრამ „გალათასარაის“ ხელმძღვანელობის სურვილს წინ აღუდგა „სტიაუა“, რომელმაც, როგორც ნიკულესკუს ბოლო მფლობელმა, გარიგებიდან თანხა მოითხოვა. არადა, იგი მეშვიდე რუმინელი ფეხბურთელი იქნებოდა სტამბულის ამ კლუბში.

### ნოვოტნიმ და რიკენმა კონტრაქტი გააგრძელეს

„ბაიერის“ კაპიტანი იენს ნოვოტნი და „ბორუსიის“ ნახევარმცველი ლარს რიკენი დათანხმდნენ კონტრაქტი გააგრძელონ თავიანთ კლუბებში.

# ეროვნული ჩემპიონატის შუქ-ჩრდილი...

## მკითხველის აზრი

ორმოცდაათიან წლებში თბილისის „დინამოზე“ ფეხბურთის მოყვარულთა მიერ შეთხზული ლექსი — „ჩვენს თბილისის „დინამოს“ — დღე და ღამე სძინავსო“, ვფიქრობ, დღევანდელობას უფრო მიესადაგება, ვიდრე იმდროინდელ „დინამოს“, რომელიც, მიუხედავად ერთგვარი ჩავარდნებისა, არასდროს ჩამოსულა ორნიშნა ციფრის ქვემოთ, ე.ი. არასდროს დაუკავებია მეათე, მეთერთმეტე და ა.შ. ადგილები, მაშინ, როდესაც ისეთი საფეხბურთო გრანდი, როგორიცაა მოსკოვის „სპარტაკი“, დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას...

დღეს კი, როგორც იტყვიან, სახელოვანი თბილისის „დინამო“ სულს ღაფავს, ვერ შველის მას ვერც სარფიანი ტრანსფერები, ვერც მწვრთნელთა ცვლა და, როგორც ჩანს, ვერც ყოფითი მოვლენები... იყო დრო „დინამო“ გამანადგურებელი ანგარიშით — 2-9, 1-6, 1-5, 0-5, 2-5 მარცხდებოდა, მაგრამ მაყურებელი მას არასდროს დაუკარგავს. მეტიც, „დინამოს“ სტადიონზე შესასვლელი ბილეთის მისაღებად, მაყურებელი ცხენოსანი მილიციის და სამხედრო ნაწილების თანხლებით ღამეებსაც კი ათენებდა. საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც, თბილისის „დინამოს“ გამოსვლის დღეს ნამდვილი სპორტული ზეიმი იმართებოდა როსტოვში, დონეცკში, ხარკოვში, ოდესაში, დნეპროპეტროვსკში, ერევანში, ბაქოში. დღეს, თბილისის „დინამო“, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მაჩანჩალათა რიგებშია და უძლიერეს ექვსეულში მოხვედრაც კი პრობლემად გახდომია. შეიძლება შემთხვევით დამარცხდე „მერანთან“, 0-1, მაგრამ 2-5 მარცხი ვეტერინარებთან, ვფიქრობ, მეტისმეტია და აღსასრულზე ხომ არ მიგვანიშნებს? თუმცა, ტყუილად როდია ნათქვამი: „სიბერემდე სიჭაბუკე(?)... მოელოდეო“...

ახლა მინდა გავიხსენო თბილისის „დინამოს“ შარშანდელი გასვლითი კალენდარული მატჩი ქუთაისში, რომელიც თბილისის „დინამომ“ დამსახურებულად მოიგო — 1-0 და თითქოს გამოჩნდა იმედის სხივი, რომ იგი აღიდგენდა ყოფილ და სასურველ დიდებას. ზემოაღნიშნულ მატჩში „დინამომ“ ყველა რგოლში დაჯაბნა მომავალი ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“, ვერც აშკარად მიკერძოებულმა მსაჯობამ იმოქმედა, ვერც აღტყინებულმა ადგილობრივმა მაყურებელმა — ერთი სიტყვით, „დინამომ“ აჯობა თავის თავსაც, ამ მატჩში „დინამოს“ ფორვარდებმა ზირაქიშვილმა, გადელიამ, ჯინჭარაძემ და სხვებმა აშკარად დაჯაბნეს „ტორპედოს“ ახოვანი მცველები. შემდეგ რა მოხდა? — როგორც ჩანს, ვიღაცას ხელს არ აძლევდა „დინამოს“ ყოფილი „ტიტულის“ აღდგენა და ჩაქოლეს...

შედეგად მივიღეთ ახალი ჩემპიონი — ქუთაისის „ტორპედო“, რომელიც უწინდებურად სხვებს კი არ აწვდის ადგილობრივ კადრს, არამედ არაერთ მოწვეულ ფეხბურთელს ნახავდით და დღესაც შეხვდებით ჩვენი ულიმლამო ჩემპიონის რიგებში. აბა სხვა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ „ტორპედომ“ უსახურად ისპარეზა ჩემპიონთა ლიგაში, ახლა, დსთ-ს ტურნირში. მაშინ, ჩემპიონთა ლიგაში მას თავის გამოჩენის ერთობ საუცხოო გზა გაეხსნა რომის „ლაციოსთან“ მოსალოდნელ პერსპექტიულ მატჩში. დღეისათვის „ტორპედო“ კვლავ ლიდერია და ეჭვს გარეშე არ უნდა იყოს, რომ იგი კვლავ ჩემპიონად მოევლინოს [illegible]მეტე ეროვნულ ჩემპიონატს, არა საკუთარი სიძლიერით, არამედ სხვისი სისუსტის ხარჯზე. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია ჩემპიონობის მეორე მაძიებელი, რომელიც დამარცხდა ბოლნისის „სიონთან“ 1-2 (იგულისხმება თბილისის „ლოკომოტივი“). და თუ „ლოკომოტივმა“ შეგნებულად დათმო ზემოაღნიშნული მატჩი, კიდევ უარესი — არაფრად უღირს საკუთარი კლუბის პრესტიჟი, რომლის რიგებში არაერთ ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია. — მესხი, ყიფიანი, ელოშვილი, ახალკაცი და მრავალი სხვა.

ქართულ ფეხბურთს დღეისათვის ეტყობა ერთგვარი წინსვლა, რაც გამოიხატება ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებებით, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ალმავლობით — თუმცა, მინიმუმამდე არ არის დაყვანილი ე.წ. ჩაწყობილი შეხვედრები, თუმცა იგრძნობა პროგრესი მსაჯთა მომსახურებაში. ეს საკმარისი არ არის. ლეგიონერმა ფეხბურთელებმაც, ასე თუ ისე, პირი იბრუნეს საქართველოსკენ, მაგრამ მხოლოდ მათი შემყურე ჩვენი ფეხბურთი შორს ვერ წავა. საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი საბაზისო გუნდი, რომელიც თავის ირგვლივ შემოიკრებს, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე პერსპექტიულ ფეხბურთელებს, ისე ლეგიონერებს. და ყოველივე ზემოაღნიშნული სასურველია და აუცილებელიც, მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ბაზაზე. სხვა შემთხვევაში, ვერავითარი ტიტულოვანი მწვრთნელი ჩვენს ნაკრებს ვერ უშველის და სასაცილოც კია, საფეხბურთო ქვეყანას, ცხრა მთას იქიდან მოუვიდეს მწვრთნელი, უხდიდეს კოლოსალურ თანხას და შედეგი ვერ მიიღოს. სწორედ ქართულ ფეხბურთზეა ნათქვამი: „ადგილის კურდღელს, ადგილის მწევარი დაიჭერსო“.

ახლა მინდა შევეხო ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურას. ქულათა ჩათვლის ე.წ. „დანიურმა“ სისტემამ, როგორც ჩანს, გაამართლა. უაღრესად დაძაბული პაექრობებია მოსალოდნელი საგაზაფხულო ჩემპიონატზე, როდესაც ექვსი ადგილისათვის იბრძოლებს შვიდი გუნდი. არანაკლებ დაძაბული იქნება ბრძოლა აუტსაიდერთა შორის უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. აქვე მინდა დავძინო, ჩემი აზრით და ღრმა რწმენით, შეცდომაა ბოლო ოთხი ტურის შეხვედრების მომავალი წლისთვის გადატანა. მით უმეტეს, დეკემბერში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში ძალზე თბილა-ხოლმე. იყო შარშანაც სამი თვით აქტიური ფეხბურთისგან ჩამოცილება, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გამართვა პრობლემად არის გადაქცეული, კარგს არაფერს გვიქადის. ვფიქრობ, ფეხბურთის ფედერაცია გაითვალისწინებს ამ გარემოებას და მომავალ საფეხბურთო სეზონს 25 დეკემბრამდე გააგრძელებს. მოგეხსენებათ, საფეხბურთო პრეტენზიების ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა და რომელიც ცდილობს რაც შეიძლება ჩქარა გადავიდეს პროფესიულ რელსებზე, ხანგრძლივი შესვენებები არ წაადგება.. თორემ რა გამოვიდა, ჩვენი გუნდები უფრო მეტს ისვენებენ, ვიდრე თამაშობენ. საგაზაფხულო საფეხბურთო სეზონი სასურველია ისევ თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში გაიხსნას — ოღონდ სათასო შეხვედრებით და არა ჩემპიონატის კალენდარული მატჩებით. ეს იქნება ეროვნული ჩემპიონატისთვის სამზადისის დასკვნითი აკორდი. დაბოლოს, ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ვეტერან ფეხბურთელთა აქტიურ ჩაბმას საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში. ის თანხა, რომელიც უცხოელ მწვრთნელს ან მოწვეულ ფეხბურთელს უნდა გადაუხადონ, უმჯობესია ისევ ამ საქმეს მოვახმაროთ და შედეგიც არ დააყოვნებს — უკუგება გაცილებით ეფექტური იქნება. ფეხბურთი ერთი შეხედვით ადვილი თამაშია, მაგრამ, რაც დრო გადის, სათამაშოდ მეტად რთული ხდება. ეს კი ჩვენც გვეხება, ცხადია.

**დემურ ტორაძე**



*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

# „გაჭირვების ბალკვესი“ ფეხბურთელები

სპორტული თამაშების სახეობებს შორის, ეჭვს გარეშეა ყველაზე მეტად გოლი ფეხბურთში ფასდება, რადგან ძალზე ხშირად ერთადერთ გატანილ ბურთსაც შეუძლია გადაწყვიტოს მატჩის ბედი, რაც ხშირ შემთხვევაში რჩეულთა ხვედრია. ამ წერილში მინდა მკითხველს ვუამბო ქართველ ფეხბურთელთა იმ გატანილ გოლებზე, რომლებიც ერთი ათად ფასობდა და დღესაც სასიამოვნო მოგონებად დარჩა ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში.


სერგო კოტრიკაძე

წარმოგიდგენთ 11 ქართველ ფეხბურთელს, რომელთა მიერ გატანილმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი და სამუდამოდ შევიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ასეთი ფეხბურთელების რიცხვი, არც თუ ისე მცირეა, ამიტომ წარმოგიდგენთ რჩეულთა შორის რჩეულთ. ესენია: *მეკარე* სერგო კოტრიკაძე; ***მცველები*** – იუზა ლოსაბერიძე („ტორპედო“ ქუთაისი), ბორის სიჭინავა, ნიაზ ძიაპშიპა, გივი ხოჭოლავა; ***ნახევარმცველები*** – ვიტალი დარასელია, გიგა ნორაკიძე („სპარტაკი“ თბილისი); *თავდასხმა* ილია დათუნაშვილი, კარლო გაგნიძე („სპარტაკი“ თბილისი), ფირუზ რეხვიაშვილი, ალბერტ ავალიანი („ტორპედო“ ქუთაისი).


ვიტალი დარასელია

დავიწყოთ *სერგო კოტრიკაძით.* 1959 წლის აგვისტოს ბოლოს კიევში ადგილობრივ „დინამოსთან“ გამართულ კალენდარულ მატჩში სერგო კოტრიკაძემ ორი პენალტის ალება შეძლო და თბილისის „დინამო“ წაგებას გადაარჩინა. ზემოაღნიშნული მატჩი ალბათ საუკეთესოდ უნდა იქნას მიჩნეული სერგო კოტრიკაძის მეკარეობის ისტორიაში.

***იუზა ლოსაბერიძე.*** ქუთაისის „ტორპედოს“ ამ მოიერიშე მარჯვენა მცველმა 1965 წლის საფეხბურთო სეზონის უკანასკნელ კალენდარულ მატჩში გოლი გაიტანა კიეველთა მეკარე ვიქტორ ბანიკოვის კარში, რითაც „ტორპედოს“ ადგილი შეუნარჩუნა „ა“ კლასში, ხოლო კიევის „დინამოს“ დააკარგვინა ჩემპიონის ტიტული.

***ნიაზ ძიაპშიპა.*** 1949 წლის საფეხბურთო სეზონის პირველ წრეში თბილისს ეწვია ხარკოვის „ლოკომოტივი“, რომელსაც უკრაინაში ლეგენდარულად აღიარებული მეკარე ნიკოლაი უგრაიცკი იცავდა. მას იმდენად ძლიერი დარტყმა ჰქონდა, კარიდან-კარამდე აწვდიდა ბურთს. ხარკოველები ლიდერთა რანგით ეწვივნენ თბილისს. მანამდე მათ ფრედ – 0-0 ითამაშეს მოსკოვის „სპარტაკთან“ თავის მოედანზე, ხოლო დაამარცხეს მინსკისა 3-0 და ლენინგრადის – 3-1 დინამოელები . ხარკოველებმა თბილისშიც შეძლეს გოლის გატანა და შედეგსაც მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდნენ.

შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ თბილისელი მაყურებელი შეეგუა მარცხს და ტოვებდა ტრიბუნებს. თბილისელთა განთქმულმა ფორვარდებმა ვერაფერი მოუხერხეს „ლოკომოტივის“ კარს, რომელსაც ფანტასტიკურად მოთამაშე უგრაიცკი იცავდა. სწორედ მატჩის მიწურულს თბილისის „დინამოს“ დაცვის ხაზიც ჩაერთო შეტევაში. ერთ-ერთ მომენტში ნიაზ ძიაპშიპამ მიუსწრო უგრაიცკის მოგერიებულ ბურთს და „დინამო“ იხსნა მარცხისაგან.

***გივი ხოჭოლავა.*** ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა თბილისის „დინამოში“ 1955 წლიდან დაცვის ერთ-ერთი ბურჯი – მარცხენა მცველი იბრაგიმ სარჯველაძე შეცვალა. 154 მატჩი ითამაშა გივი ხოჭოლავამ თბილისის „დინამოში“ 8 სეზონის განმავლობაში. საკავშირო ჩემპიონატების კალენდარულ მატჩებში მის ანგარიშზე მეტოქის კარში გატანილი ბურთი არ აღინიშნება,. თუმცა გივი ხოჭოლავა „მშრალად“ მაინც არ წასულა დიდი ფეხბურთიდან. 1959 წლის 5 ნოემბერს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, მოსკოვის „სპარტაკთან“ გამართულ სათასო შეხვედრაში, მან ბრწყინვალე გოლი გაიტნა და თბილისის „დინამოს“ გამარჯვება მოუტანა 2-1. აღსანიშნავია, რომ იმავე 1959 წელს, მოსკოვის მატჩში, თბილისის „დინამომ“ დაამარცხა „სპარტაკი“ 5-4. მაშინ, ვლადიმერ ბარქაია, გატანილი 3 გოლით გმირად მოევლინა „დინამოს“.

***ვიტალი დარასელია.*** დიუსელდორფში „კარლ-ცაისთან“ გატანილი გოლი სამართლიანადაა მიჩნეული მე-20 საუკუნის საუკეთესო გოლად. მისმა ავტორმა კი ამ გოლით უკვდავყო თავისი სახელი. ეჭვს გარეშეა, ჟამთა ცვლა ვერ გაახუნებს ამ გოლის მნიშვნელობას, რომელმაც თბილისის „დინამოს“ პირველად მოუტანა არა მარტო ევროპის თასის მფლობელთა თასი, არამედ მსოფლიო საკლუბო გუნდების გრანდებს შორისაც მიუჩინა ადგილი.


გიგა ნორაკიძე

***გიგა ნორაკიძე.*** მოედნის შუაგულის ბატონ-პატრონად ცნობილ ამ უნიკალური ხელწერის ფეხბურთელს არაერთგზის უხსნია ჯერ თბილისის „სპარტაკის“, მერე კი ოფიცერთა სახლის გუნდი. აღსანიშნავია 1951 წლის საფეხბურთო სეზონის მოსკოვის მატჩი ადგილობრივ „სპარტაკთან“, რომელიც სენსაციური შედეგით 3-2 მოიგო თბილისის „სპარტაკმა“. (პირველ წრეში მოსკოვის „სპარტაკს“ თბილისელი თანაკლუბელები დამარცხებული ჰყავდა დიდი ანგარიშით 4-0 დ.ტ.) გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს გიგა ნორაკიძემ გაიტანა.


ილია დათუნაშვილი

***ილია დათუნაშვილი.*** გოლის გატანის უტყუარი ალღოთი დაჯილდოებულმა ამ ფეხბურთელმა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 9 სეზონის განმავლობაში 199 კალენდარული შეხვედრა ჩაატარა და გაიტანა 47 გოლი, რომელთა რიცხვში უდავოდ და უპირველესად 1964 წელს ტაშკენტის მატჩში გატანილი გოლი უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ გოლმა მოუვლინა თბილისის „დინამო“ ჩემპიონად საფეხბურთო სამყაროს.

***კარლო გაგნიძე.*** საკავშირო ჩემპიონატებში მეტოქის კარში გატანილი 32 გოლიდან ერთი განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1950 წლის საფეხბურთო სეზონში თბილისის „სპარტაკის“ შემადგენლობაში გამართული მატჩი ერევნელ თანაკლუბელებთან. თბილისელები მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე, თავის მოედანზე, აგებდნენ 1-2. ანდრო ჟორდანიას აღსაზრდელებმა სასწაული მოახიდნეს, ჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (ლომაია), შემდეგ კი კარლო გაგნიძემ თავური დარტყმით წერტილი დაუსვა თბილისის „სპარტაკის“ სენსაციურ გამარჯვებას.

***ფირუზ რეხვიაშვილი.*** იგი თბილისის „დინამოში“ 197[illegible] სეზონში მოვიდა და 5 სეზონის განმავლობაში იცავდა მის ღირსებას. 57 კალენდარულ მატჩში მან 11 გოლი გაიტანა, რომელთა შორის აღსანიშნავია ბაქოში „ნეფთჩისთან“ გამართულ პირველსავე მატჩში გატანილი 2 გოლი.

***ალბერტ ავალიანი.*** ქუთაისის „ტორპედოს“ ახალბედა ფეხბურთელის ლეგენდარულ ლევ იაშინის კარში გატანილი გოლი სენსაციად იქნა მიჩნეული თავის დროზე. მით უმეტეს, რომ წინა, 1963 წლის სეზონში, ლევ იაშინი „ოქროს ბურთის“ მფლობელი იყო. ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით მომზადებულმა გუნდმა, „შავი დღე“ აყარა განთქმულ მოსკოვის „დინამოს“ – საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ ფლაგმანს. ეს ის დროა, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მეათედ გახდა მოსკოვის „დინამო“. ასპარეზობის 20 მონაწილეს შორის, 1963 წლის შედეგებით, ქუთაისის „ტორპედო“ მე-12 ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ არც მოსკოვში შეურცხვენია თავი – მათ „დინამოსთან“ 0-0 ითამაშეს.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი ლეგენდარული ლევ იაშინის ქუთაისური ზემოაღნიშნული მატჩიდან. ალბერტ ავალიანის გოლმა, როგორც იტყვიან, ფრთები შეასხა ქართველ ფეხბურთელებს, ისინი განაგრძობდნენ იაშინის კარის შტურმს. ერთ-ერთ ეპიზოდში შეტევაში ქუთაისელთა მარცხენა მცველი ნოდარ სარჯველაძეც ჩაერთო, მოსკოვის „დინამოს“ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მან, ბურთი მიიღო და დაუყოვნებლივ ლევ იაშინის კარში გაგზავნა. ამ მომენტში იაშინს კარის მარცხენა კუთხე ჰქონდა ჩაკეტილი. გიგანტური აღნაგობის მეკარე, რომ იტყვიან, ჰაერში ჰორიზონტალურად გასწორდა, მართლაც რომ ვეფხისებური ნახტომი გააკეთა, ხელის თითებით ძლივს მისწვდა ბურთს და კუთხურზე მოიგერია. ტრიბუნებს ტაში მოსწყდა, მაყურებელმა ოვაციით დააჯილდოვა როგორც ერთი, ისე მეორე ფეხბურთელი.

**დემურ ტორაძე**

## აფრიკის ერონვნებათა თასი

**დასასრულს მიუახლოვდა აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები.**

**A ჯგუფი:**

მალი — ალჟირი 2-0
ლიბერია — ნიგერია 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ნიგერია** | **3** | **2** | **1** | **0** | **2-0** | **7** |
| **მალი** | **3** | **1** | **2** | **0** | **3-1** | **5** |
| ლიბერია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| ალჟირი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**B ჯგუფი:**

სამხ. აფრიკა — მაროკო 3-1
ბურკინა ფასო — განა 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხ. აფრიკა** | **3** | **1** | **2** | **0** | **3-1** | **5** |
| **განა** | **3** | **1** | **2** | **0** | **2-1** | **5** |
| მაროკო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| ბურკ. ფასო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

**C ჯგუფი:**

კამერუნი — ტოგო 3-0
დრ. კონგო — კოტ დივუარი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კამერუნი** | **3** | **3** | **0** | **0** | **5-0** | **9** |
| **დრ. კონგო** | **3** | **1** | **1** | **1** | **3-2** | **4** |
| ტოგო | 3 | 0 | 2 | 1 | 0-3 | 2 |
| კოტ დივუარი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

**D ჯგუფი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სენეგალი** | **2** | **2** | **0** | **0** | **2-0** | **6** |
| ეგვიპტე | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

***მეოთხედფინალში*** ერთმანეთს ხვდებიან:
*3 თებერვალი:* ნიგერია — განა
მალი — სამხ. აფრიკა
*4 თებერვალი:* სენეგალი — დრ. კონგო


კამერუნი – ტოგო


სამხრეთ აფრიკა – მაროკო

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ინგლისი

***ბოლტონი — მანჩესტერი 0-4***
სოლსკიაერი (15, 39, 64), ვან ნისტელროი (84).
***ჩარლტონი — დერბი 1-0***
უილიამსი (79).
***სანდერლენდი — მიდლსბრო 0-1***
უილანი (14).
***ასტონ ვილა — ევერტონი 0-0***
***ჩელსი — ლიდსი 2-0***
გუდიონსენი (2); დელა ბონა (32).
***იფსვიჩი — ფულემი 1-0***
ბენტი (10).
***ბლექბერნი — არსენალი 2-3***
0-1 ბერგკამპი (14), 0-2 ანრი (21), 1-2 ჯანსენი (31), 2-2 (ჯანსენი (39), 2-2 ბერგკამპი (75).
***ლივერპული — ლესტერი 1-0***
ჰესკი (57).
***საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი 2-0***
დავიესი (43), ფერნანდესი (66).
***ტოტენჰემი — ნიუკასლი 1-3***
1-0 ივერსენი (17), 1-1 აკუნია (67), 1-2 შირერი (69), 1-3 ბელამი (78).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 25 | 15 | 3 | 7 | 60-34 | 48 |
| **არსენალი** | 24 | 13 | 8 | 3 | 49-29 | 47 |
| **ნიუკასლი** | 24 | 14 | 4 | 6 | 45-30 | 46 |
| **ლივერპული** | 25 | 13 | 7 | 5 | 34-24 | 46 |
| **ლიდსი** | 24 | 11 | 9 | 4 | 35-23 | 42 |
| **ჩელსი** | 24 | 10 | 10 | 4 | 42-23 | 40 |
| **ასტონ ვილა** | 24 | 9 | 9 | 4 | 31-28 | 36 |
| **ტოტენჰემი** | 24 | 9 | 5 | 10 | 35-33 | 32 |
| **ჩარლტონი** | 24 | 8 | 8 | 8 | 30-30 | 32 |
| **ფულემი** | 23 | 7 | 10 | 6 | 23-23 | 31 |
| **საუთჰემპტ.** | 24 | 9 | 2 | 13 | 29-37 | 29 |
| **ევერტონი** | 24 | 7 | 7 | 10 | 25-30 | 28 |
| **სანდერლენ.** | 24 | 7 | 7 | 10 | 19-26 | 28 |
| **ვესტ ჰემი** | 24 | 7 | 7 | 10 | 27-41 | 28 |
| **იფსვიჩი** | 24 | 7 | 6 | 11 | 32-33 | 27 |
| **მიდლსბრო** | 23 | 7 | 5 | 11 | 22-31 | 26 |
| **ბლექბერნი** | 24 | 6 | 7 | 11 | 32-32 | 25 |
| **ბოლტონი** | 24 | 5 | 10 | 9 | 27-39 | 25 |
| **დერბი** | 24 | 5 | 4 | 15 | 17-42 | 19 |
| **ლესტერი** | 24 | 3 | 8 | 13 | 15-41 | 17 |

*ბომბარდირები:*
18 — ანრი (არსენალი).
16 — ვან ნისტელროი (მანჩესტერი), ჰასელბანკი (ჩელსი).
12 — რიკეტსი (ბოლტონი), შირერი (ნიუკასლი),
11 — გუდიონსენი (ჩელსი), ოუენი (ლივერპული).
10 ანხელი — (ასტონ ვილა), ბიტი (საუთჰემპტონი), პახარი (საუთჰემპტონი), სოლსკიაერი (მანჩესტერი).


*ჩელსი — ლიდსი*

## საფრანგეთი

***ნანტი — ლიონი 3-0***
***მონაკო — ბორდო 3-1***
***ოსერი — ბასტია 1-0***
***მეცი — გენგამი 2-4***
***მარსელი — სედანი 2-1***
***რენი — მონპელიე 2-0***
***სოშო — ლანსი 0-2***
***პსჟ — ლორიანი 5-0***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლანსი** | 22 | 14 | 6 | 2 | 39-15 | 48 |
| **ლიონი** | 22 | 12 | 4 | 6 | 41-23 | 40 |
| **პსჟ** | 23 | 9 | 11 | 3 | 31-17 | 38 |
| **ოსერი** | 21 | 10 | 8 | 3 | 29-20 | 38 |
| **ლილი** | 22 | 9 | 8 | 5 | 27-22 | 35 |
| **ტრუა** | 21 | 10 | 4 | 7 | 27-21 | 34 |
| **ბორდო** | 22 | 8 | 8 | 6 | 20-17 | 32 |
| **სოშო** | 23 | 8 | 7 | 8 | 29-28 | 31 |
| **მონპელიე** | 22 | 7 | 9 | 6 | 21-18 | 30 |
| **მონაკო** | 23 | 8 | 6 | 9 | 26-27 | 30 |
| **მარსელი** | 23 | 6 | 9 | 8 | 21-25 | 27 |
| **ნანტი** | 23 | 7 | 5 | 11 | 21-28 | 26 |
| **ბასტია** | 23 | 7 | 3 | 13 | 23-34 | 24 |
| **გენგამი** | 23 | 6 | 6 | 11 | 22-39 | 24 |
| **სედანი** | 21 | 5 | 8 | 8 | 23-24 | 23 |
| **რენი** | 23 | 6 | 5 | 12 | 22-35 | 23 |
| **მეცი** | 20 | 6 | 2 | 12 | 13-25 | 20 |
| **ლორიანი** | 23 | 5 | 5 | 13 | 32-49 | 20 |

## იტალია

*გადადებული მატჩი*
***კიევო — ლაციო 3-1***
0-1 კლაუდიო ლოპესი (7), 1-1 მარაცინა (46), 2-1 კორინი (78, 87 პენ).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რომა** | 20 | 12 | 7 | 1 | 31-12 | 43 |
| **ინტერი** | 20 | 12 | 6 | 2 | 36-17 | 42 |
| **იუვენტუსი** | 20 | 11 | 7 | 2 | 38-15 | 40 |
| **კიევო** | 20 | 11 | 3 | 6 | 37-29 | 36 |
| **მილანი** | 20 | 8 | 8 | 4 | 29-22 | 32 |
| **ბოლონია** | 20 | 9 | 4 | 7 | 21-21 | 31 |
| **ლაციო** | 20 | 7 | 7 | 6 | 27-17 | 28 |
| **ვერონა** | 20 | 8 | 4 | 8 | 27-30 | 28 |
| **ტორინო** | 20 | 7 | 5 | 8 | 24-25 | 26 |
| **უდინეზე** | 20 | 7 | 4 | 9 | 29-34 | 25 |
| **პერუჯა** | 20 | 7 | 4 | 9 | 23-29 | 25 |
| **ატალანტა** | 20 | 7 | 4 | 9 | 26-34 | 25 |
| **პიაჩენცა** | 20 | 6 | 4 | 10 | 24-27 | 22 |
| **ბრეშა** | 20 | 5 | 7 | 8 | 24-33 | 22 |
| **პარმა** | 20 | 5 | 6 | 9 | 24-31 | 21 |
| **ლეჩე** | 20 | 4 | 7 | 9 | 20-29 | 19 |
| **ფიორენტინა** | 20 | 4 | 4 | 12 | 21-40 | 16 |
| **ვენეცია** | 20 | 2 | 5 | 13 | 17-33 | 11 |


*კიევო — ლაციო*

## შოტლანდია

*გადადებული მატჩი*
***აბერდინი — დანდი 0-0***
***ლივინგსტონი — სელტიკი 1-3***
***კილმარნოკი — რეინჯერსი 2-2***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სელტიკი** | 26 | 24 | 1 | 1 | 62-13 | 73 |
| **რეინჯერსი** | 26 | 17 | 7 | 2 | 59-21 | 58 |
| **ლივინგსტ.** | 25 | 12 | 7 | 6 | 36-23 | 43 |
| **აბერდინი** | 26 | 11 | 4 | 11 | 36-39 | 37 |
| **ჰართსი** | 26 | 10 | 4 | 12 | 34-33 | 34 |
| **კილმარნოკი** | 26 | 9 | 6 | 11 | 27-32 | 33 |
| **დანფერმლ.** | 25 | 9 | 4 | 12 | 30-42 | 31 |
| **დანდი იუნ.** | 26 | 8 | 7 | 11 | 28-44 | 31 |
| **დანდი** | 24 | 7 | 6 | 11 | 23-35 | 27 |
| **მოზერუელი** | 26 | 7 | 6 | 13 | 34-48 | 27 |
| **ჰიბერნიანი** | 26 | 5 | 8 | 13 | 32-42 | 23 |
| **სტ. ჯონსტ.** | 26 | 3 | 4 | 19 | 17-46 | 13 |


*მარსელი — სედანი*


*რენი — მონპელიე*

# ქვეყნები, თასები

## გერმანია

**1/4 ფინალი**
ჰერტა — ***კიოლნი*** 1-2 (დ.დ.)
***შალკე*** — ობერჰაუზენი 2-0
***ლევერკუზენი*** — მიუნხენი 3-0
კაიზერი — **ბაიერნი** 0-0 (3-5 პენ)


*კაიზერი — ბაიერნი*


*დეპორტივო — ფიგერესი*

## ესპანეთი

**1/2 ფინალი.**
**განმეორებითი მატჩი**
დეპორტივო — ფიგერესი 1-1 (1-0 პირველი მატჩი).

## ჰოლანდია

**1/4 ფინალი**
უტრეხტი — ჰერენვენი 3-1
პსვ — ფეიენოორდი 1-1 (7-6 პენ).

## საბერძნეთი

**1/4 ფინალი.**
**პირველი მატჩები**
ქსანთი — არისი 0-1
აეკ — პაოკი 2-1.


*პსვ — ფეიენოორდი*

## იარნი - „პანათინაიკოსში" გადავიდა

ხორვატიის ნაკრების მცველი რობერტ იარნმა ხელი მოაწერა კონტრაქტს სეზონის ბოლომდე საბერძნეთის „პანათინაიკოსთან". 33 წლის ხორვატმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც ის ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში მის ყოფილ გუნდში, ესპანეთის „ლას-პალმასში".




## „ოქროს თასი"

**გაიმართა „ოქროს თასის" გათამაშების მეოთხედფინალური და ნახევარფინალური შეხვედრები.**
**მეოთხედფინალი:**
***კოსტა რიკა*** — ჰაიტი 2-1
***კანადა*** — მარტინიკა 1-1 (6-5 პენ)
მექსიკა — ***კორეა*** 0-0 (2-4 პენ)
***აშშ*** — სალვადორი 4-0

**ნახევარფინალი:**
კოსტა რიკა — კორეა 3-1
აშშ — კანადა 0-0 (4-2 პენ).
2 თებერვალს ჯერ გაიმართება მატჩი მე-3 ადგილისათვის, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან:
კორეა — კანადა
**ფინალში** კი ითამაშებენ:
კოსტა რიკა — აშშ.


*კოსტა-რიკა — კორეა*

# ნბა




**იუტა — ჩიკაგო 90:78**
*იუტა:* მელოუნი (18), სტოქტონი (16+10 გადაცემა), კირილენკო (15).
*ჩიკაგო:* რობინსონი (18), გაიტონი (14).
**ინდიანა — მემფისი 83:82**
*ინდიანა:* როუზი (25), ო'ნილი (17+11 მოხსნა).
*მემფისი:* ბატე (27), გაზოლი (18+13 მოხსნა), ნაიტი (12+13 მოხსნა).
**ფილადელფია — მინესოტა 96:91**
*ფილადელფია:* აივერსონი (38), კოულმენი (18), მუტომბო (10+11 მოხსნა).
*მინესოტა:* შერბიაკი (31), გარნეტი (18), ნესტეროვიჩი (12+12 მოხსნა).
**დეტროიტი — ატლანტა 88:71**
*დეტროიტი:* სტეკჰაუზი (32), ატკინსი (15), უოლასი (10+19 მოხსნა).
*ატლანტა:* ტერი (19), გლოვერი (12).
**ორლანდო — ლეიკერსი 93:111**
*ორლანდო:* მაკგრეიდი (22+10 მოხსნა), გერიტი (22).
*ლეიკერსი:* ონილი (30+14 მოხსნა), ბრაიანტი (23).




## აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 29 | 14 | 67,4 |
| ბოსტონი | 26 | 18 | 59,1 |
| ფილადელფია | 23 | 22 | 51,1 |
| ორლანდო | 23 | 23 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 21 | 21 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 18 | 25 | 41,9 |
| მაიამი | 16 | 28 | 36,4 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 27 | 16 | 62,8 |
| ტორონტო | 26 | 19 | 57,8 |
| დეტროიტი | 23 | 20 | 53,5 |
| ინდიანა | 24 | 23 | 51,1 |
| შარლოტი | 21 | 23 | 47,7 |
| კლივლენდი | 14 | 30 | 31,8 |
| ატლანტა | 14 | 31 | 31,1 |
| ჩიკაგო | 9 | 35 | 20,5 |

## დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 32 | 13 | 71,1 |
| მინესოტა | 31 | 14 | 68,9 |
| სან ანტონიო | 29 | 14 | 67,4 |
| იუტა | 24 | 22 | 52,2 |
| ჰიუსტონი | 15 | 30 | 33,3 |
| დენვერი | 13 | 30 | 30,3 |
| მემფისი | 13 | 32 | 28,9 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 33 | 10 | 76,7 |
| ლეიკერსი | 31 | 12 | 72,1 |
| პორტლენდი | 23 | 20 | 53,5 |
| სიეტლი | 23 | 21 | 52,3 |
| კლიპერსი | 23 | 23 | 50,0 |
| ფინიქსი | 22 | 22 | 50,0 |
| გოლდ. სტეიტი | 14 | 29 | 32,6 |

## განცხადება

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია 2002 სასწავლო წლისათვის აცხადებს:**

მსმენელთა მიღებას კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე და სპეციალისტთა მოსამზადებელ კურსებზე.

სპორტული ორგანიზაციებისა და ფედერაციებისაგან განცხადების მიღება იწარმოებს 15 თებერვლამდე.

მეცადინეობები დაიწყება 2002 წლის 1 მარტიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანატში, ყოველდღე 11-დან 15 საათმდე (კვირის გარდა).

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №49, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ტელ. 29-39-62.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის რექტორატი**

## «პროსტი» გაკოტრებულად გამოცხადდა

დიდი ფინანსური პრობლემები, რომლის წინაშეც „ფორმულა-1"-ის ცნობილი მრბოლის ალენ პროსტის გუნდი აღმოჩნდა, დათქმულ ვადებში ვერ მოგვარდა, რის გამოც საფრანგეთის სასამართლომ ვერსალში მსოფლიო ჩემპიონის გუნდი „პროსტი" ბანკროტად გამოაცხადა და იგი უნდა დაიშალოს.

## არმსტრონგმა ინდურაინი გამოიწვია

„ტურ დე ფრანსში" სამგზის გამარჯვებულმა ცნობილმა ამერიკელმა ველომრბოლმა განაცხადა, რომ ოცნებობს დაამხოს ესპანელ მიგელ ინდურაინის რეკორდი, რომელმაც ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა წარმატება ამ ავტორიტეტულ რბოლაში. „სამი გამარჯვება უკვე მაქვს. ახლა ჩინებულ ფორმაში ვარ და, ვფიქრობ, 2-3 წელიწადი მეყოფა მიზნის მისაღწევად" – ამბობს ტეხასელი. არმსტრონგი ამჟამად ესპანეთში ვარჯიშობს და „ტურ მურსიისთვის" ემზადება.

## პუტინმა სკოლას ტატამი აჩუქა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დიდებული საჭიდაო ტატამი გადასცა საჩუქრად რიაზანის ოლქის სოფელ გლუბნიკის ჭიდაობის სკოლას. ეს სკოლა ერთადერთია ქვეყანაში, რომელსაც ადგილობრივი ეკლესიის წინამძღვარი – მამა ოლეგი უდგას სათავეში. „გავბედე და შარშან პუტინს წერილი მივწერე, შემწეობა ვთხოვე. მისმა პასუხმაც არ დააყოვნა" – უთხრა მამა ოლეგმა ჟურნალისტებს.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა სამძიმარს უცხადებს კიო კუშინ კარატეში საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ავთანდილ შენგელიას მამის გარდაცვალების გამო.**

**სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს კიო კუშინ კარატეში საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ავთანდილ შენგელიას მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას მამის, ვეტერანი ფეხბურთელის**
**ლევან ჟორდანიას**
**გარდაცვალების გამო.**

**„ლელოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს მერაბ ჟორდანიას მამის**
**ლევან ჟორდანიას**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს კიო კუშინ კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ავთანდილ შენგელიას მამის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის ველოსპორტის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს თბილისის მერიის ბავშვთა და მოზარდთა ველოსკოლის დირექტორს მერაბ სურმავას დედის გარდაცვალების გამო.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**1 თებერვალი, პარასკევი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.40), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. აფრიკის ეროვნებათა თასი (12.00, 14.00), სამთო თხილამურები, მსოფლიო თასი. ქალები (16.00, 20.00), ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები (22.15, 23.15), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ახალი სტარტის წინ (13.20), მსოფლიო ფეხბურთი (15.00), ინგლისის ჩემპიონატი (15.30), ჩემპიონთა ლიგის ახალი სტარტის წინ: „რეალი" – „რომა" (17.15), „ლოკომოტივი" – „რეალი" (19.15), „სელტიკი" – „იუვენტუსი" (22.40), „იაპონია და კორეა-2002" (21.00, 1.20). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.25). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი: ევროლიგა (11.45), ნბა-ს მიმოხილვა (13.45), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი, ვაჟები (14.30), ტაილანდური კრივი (19.05), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის (23.20).

**2 თებერვალი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (23.40), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 12.30, 13.45, 16.15, 3.45), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.15, 3.00, 4.30), ***НТВ плюс футбол.*** „იაპონია და კორეა-2002" (13.15), ჩემპიონთა ლიგის ახალი სტარტის წინ. „ლოკომოტივი" – „რეალი" (14.00), „სელტიკი" – „იუვენტუსი" (16.45), 1998 წლის ჩემპიონატი. კოლუმბია – ტუნისი (20.55), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (11.45), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი (18.55, 21.25), ბილიარდის მეფეები (23.00).

**3 თებერვალი, კვირა**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* რაგბი. ერთა თასი. საქართველო – ჰოლანდია. რეპორტაჟი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან (14.55), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.45, 15.15, 16.15, 3.30), ფეხბურთი: აფრიკის ეროვნებათა თასი (20.00, 23.00), მსოფლიო თასის ლეგენდები (22.00). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 20.25) „იაპონია და კორეა-2002" (15.10), ინგლისის ჩემპიონატი „ლიდსი" – „ლივერპული" (15.55), იტალიის (23.25), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის (12.40), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისათვის (18.25), ფინალი (20.55), სოლტ-ლეიკ-სიტის გზით (23.00), კრივი. პროფესიონალები (1.30).

## თქვენ და 2002 წელი ● ჰოროსკოპი



**ქალწული.** წლეულს თქვენ პლანეტა სატურნი დაგეხმარებათ გულმოდგინე გარჯის წარმატებით დაგვირგვინებაში. სატურნი ყოველთვის ასაჩუქრებს შრომისმოყვარე ადამიანებს. 2002 წელს დიდი შანსი გეძლევათ ადგილი დაიმკვიდროთ მაღალ საზოგადოებაში, ელოდეთ უამრავ პრივილეგიას, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აღარ იშრომოთ და განცხრომას მიეცეთ. წლეულს უფრო დაჯერებული იქნებით საკუთარ თავში, თვითკრიტიკა გადაიწევს უკანა პლანზე და ბევრ საკუთარ საქციელს გამართლებასაც კი მოუძებნით, საზოგადოებრივ აზრსაც ნაკლებ ყურადღებას მიაქცევთ. ცხადია, იქნება დაბრკოლებები, მაგრამ ყველა მათგანს წარმატებით გადალახავთ.

ყველაზე საინტერესო იდეები დაგებადებათ წლის დასაწყისში, რომელთა განხორციელებას შემოდგომიდან ენერგიულად შეუდგებით. ოღონდ ეცადეთ ერთმანეთისგან განასხვავოთ ფანტაზია და რეალობა. თუ ამას შეძლებთ, წარმატებები გარანტირებული გექნებათ, მათ შორის კარიერაში.

ეს წელიწადი, ახალი მიღწევებით ძალიან შთამბეჭდავი იქნება ქალწულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლებისთვის.

## კროსვორდი № 8




**თარაზულად:** 1. ცნობილი ამერიკელი ფალავანი, რომელიც მოკლეს, 6. სიმაღლეზე ხტომაში ორ დგარზე გადებული საგანი, 8. ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ერთ-ერთი ქვეყანა, 9. გერმანიის ობერ-ლიგის საფეხბურთო კლუბი, 11. მოჭადრაკე კრამნიკის სახელი, 12. გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი, 13. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური პრიზიორი, 15. ცნობილი ვეტერანი შვედი ფეხბურთელი, 17. „ბარსელონას" არგენტინელი ლეგიონერი ფეხბურთელი, 18. წარსულში ცნობილი პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი, 19. ცურვის სტილი, 20. ბილიარდის ჯოხი, 21. იტალიის სერია „A"-ს გუნდი.

**შვეულად:** 1. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 2. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 3-4. იტალიის სერია „B"-ს საფეხბურთო კლუბები, 5. შეფასება ძიუდოში, 7. ლეგენდარული ქართველი ფალავანი, 10. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი (1994 წ.), 14. ოჩამჩირის ყოფილი საფეხბურთო გუნდი, 16. ფორმულა-1-ის ცნობილი მრბოლი, 17. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელის, მეკარის სახელი.

### კროსვორდი №7-ის პასუხები

**თარაზულად:** 1. ენდშპილი, 3. ტაიმი, 6. ტრავმა, 8. ჰავბეკი, 10. შუბი, 11. სენა, 12. ბოლნისი, 16. ისარი, 17. აკრობატი, 19. კლუბი, 20. სიეტლი. **შვეულად:** 2. „პუმა", 4. აკბაში, 5. „მაკაბი", 7. რუბენისი, 8. ჰელსინკი, 9. ხაბარელი, 13. იზორია, 14. სტარტი, 15. რაი, 18. იბო.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(კარდენახი)




**ნადიშამათი 4 სვლაში**

**ამოხსნის წესი:** შავები იწყებენ და ხელს უწყობენ თეთრებს, რომ დაამათონ შავების მეფე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. კh4! მფ:d4 2. კf2X.
1. ...ed 2. კe7X. 1. ...b4 2. ეd5X.
1. ...a3 2. მb3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com